სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 31

2019 წ. "04" 12

ქ.თბილისი

შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საჩივრის მიღების შესახებ

2019 წლის 27 ნოემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის №2285 კორესპონდენციით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1601289 და №1615979) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 24 ოქტომბრის №193 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2019 წლის 04 დეკემბერს სააპელაციო საბჭოს ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლომ პროგრამების აკრედიტაციის დებულების", 28^3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის 2019 წლის 22 ნოემბრის №2285 (ცენტრში რეგისტრაციის №1601289 და №1615979) სააპელაციო საჩივარი.
2. სააპელაციო საბჭოს 2019 წლის 04 დეკემბრის №15 ოქმის №01 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე:
ნოდარ პაპუკაშვილი